სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ამერიკისმცოდნეობა** **AmericanStudies**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი /Master of American Studies** სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **კვლევის მაგისტრი ამერიკისმცოდნეობაში/Master of Research in American Studies**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 45 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 15 ECTS კრედიტი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვება. სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 20 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 10 ECTS კრედიტი • სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტი) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროფესორი ელენე მემმარიაშვილი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის წინაპირობაა: • ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი დეტალურ სფეროში შემავალ კვალიფიკაციაში: • 0388.1.2 ამერიკისმცოდნეობა American Studies • ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში: 01 განათლება 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები 03 სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები

	04 ბიზნესი, ადმინისტრირება და შემავალ ვიწრო სფეროებში გაერთიანებულ კვალიფიკაციებში. • ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ასევე სხვადასხვა (სოციალური, პოლიტიკური, ჰუმანიტარული და სამართლის) პროგრამების კურსდამთავრებულ ბაკალავრს; • ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატითსასპეციალიზაციო წერითი გამოცდა ამერიკისმცოდნეობაში;უცხო ქვეყნის მოქალაქე ჩაირიცხება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ მაგისტრს **ამერიკანისტიკაში** აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია** თანამედროვე შრომის ბაზრის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც სასპეციალიზაციო დარგის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით ფლობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების შესახებ კომპლექსურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს. პროგრამა სტუდენტს გაუღრმავებს ცოდნას ამერიკისმცოდნეობის დარგის შემდეგი მიმართულებით: 1. **საზოგადოება და კულტურა** და 2. **პოლიტიკა**. აქედან გამომდინარე, პროგრამის უფრო კონკრეტული მიზნებია: • მაგისტრანტს პროფესიულ დონეზე შეასწავლოს აშშ-ისა და სტუდენტს პროფესიულ დონეზე შეასწავლოს აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ძირითადი ქვეყნების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ზოგადთეორიული ასპექტები, ამერიკელი ერის თვითმყოფადობის, მულტიკულტურული, პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური საზოგადოების მახასიათებლები. • მისცეს ამერიკის პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, კულტურის, მედიისა და ლიტერატურის ღრმა, ინტეგრირებული და სისტემური ცოდნა. • ინგლისურენოვანი კურსების საშუალებით გაუღრმავოს ცოდნა ამერიკულ დარგობრივ და პროფესიულ ინგლისურ ენაში.

	• განუვითაროს ინგლისური ენის მაღალი დონის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარები პროფესიულ საქმიანობაში მათი ეფექტიანი გამოყენებისთვის. • განუვითაროს კულტურათაშორისი განსხვავებების გააზრების, კულტურული და კონფესიური მრავალფეროვნების პატივისცემის, ტოლერანტობისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების უნარი. • გაუთავისოს ცოდნის უწყვეტი განახლებისა და პროფესიული განვითარების პასუხისმგებლობა, აკადემიური და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით. **ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია** თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც სასპეციალიზაციო დარგის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით ფლობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების შესახებ კომპლექსურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტს გაუღრმავოს ცოდნა ამერიკისმცოდნეობის დარგის შემდეგი მიმართულებით: 1. **საზოგადოება და კულტურა** და 2. **პოლიტიკა.** აქედან გამომდინარე, პროგრამის უფრო კონკრეტული მიზნებია: • მაგისტრანტს გამოუმუშავოს ამერიკულ სამყაროში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, ლიტერატურული, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების სიღრმისეული ანალიზისა და კრიტიკული გააზრების უნარი. • განუვითაროს აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების როლის, ადგილისა და განვითარების თავისებურებების კვლევის, შედარებისა და ინტერპრეტაციის უნარი რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში. • განუვითაროს დარგობრივი საკითხების კომპლექსური შესწავლის, პრობლემების იდენტიფიცირების, ანალიზის, სინთეზისა და კრიტიკული შეფასების უნარი. • მოამზადოს დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობისთვის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნების ფორმულირებისა და აკადემიური დისკუსიის წარმართვისთვის. განუვითაროს ტრანსფერული და კვლევითი უნარები, რომლებიც აუცილებელია ამერიკისმცოდნეობის სფეროში ახალი ცოდნის შექმნისა და პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისათვის.

სწავლის შედეგები	ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ორივე ნაწილის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული მაგისტრი ამერიკისმცოდნეობაში: • სისტემურად მიმოიხილავს ამერიკისმცოდნეობის ზოგადთეორიულ ასპექტებს; აღწერს ამერიკისმცოდნეობის სხვადასხვა მიმართულებაში არსებულ ნააზრევის არსებით მახასიათებლებს; აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ცხოვრების ცალკეული სფეროების საკითხებთან დაკავშირებულ თანამედროვე მიდგომებს; ამ სფეროებში არსებულ განვითარების საერთო ტენდენციებს; იღრმავებს ცოდნას ამ ქვეყნების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ. • შესაბამისი ცნებების ადეკვატური გამოყენებით აღწერს და მიმოიხილავს შეერთებული შტატების საზოგადოების თავისებურებებს, პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტებს, მათ შორის განათლებას, მასმედიასა და კულტურას; განიხილავს ისეთ კომპლექსურ საკითხებს, როგორიცაა თანასწორი შესაძლებლობები, მიგრაციული პროცესები და საიმიგრაციო პოლიტიკა. • განიხილავს შეერთებული შტატების ფუძემდებლურ დოკუმენტებს; განიხილავს ამერიკულ კონსერვატიზმს როგორც ლიბერალიზმის ალტერნატივას; განსაზღვრავს შტატების საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკის ინტერესების სფეროს და აღწერს მათი განვითარების კანონზომიერებებს. • მიმოიხილავს დემოკრატიული ღირებულებების როლს თანამედროვე შეერთებული შტატების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
ბ) უნარები	• ამოიცნობს და იდენტიფიცირებას ახდენს მოცემულ დარგობრივ სფეროში (პოლიტიკა, სოციალური საკითხები, ისტორია, ლიტერატურა, ეკონომიკა, ფილოსოფია, კულტურა და ა.შ.) არსებულ კომპლექსურ პრობლემებს; იყენებს ცოდნას ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან მულტიდისციპლინურ კონტექსტში; იძიებს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალ და ორიგინალურ გზებს. • ავლენს ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, ეფექტიანი კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და ინტერაქციის უნარებს შესაბამისი გარემოს, კულტურათაშორისი განსხვავებებისა და კულტურათა თავისებურებების გათვალისწინებით. • ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე ინგლისური (და არჩევის შემთხვევაში ესპანური) ენის ცოდნას დარგობრივი მიზნებისთვის.

გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. • ავლენს კულტურათაშორისი განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების აღქმის უნარს; პატივს სცემს განსხვავებულ კონფესიებს, კულტურებსა და შეხედულებებს; ავლენს მათი ადეკვატური გაგებისა და შეფასების უნარს.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებული კვლევის მაგისტრი ამერიკისმცოდნეობაში: • სიღრმისეულად მიმოიხილავს და კრიტიკულად აანალიზებს ამერიკული პრესის, პოლიტიკურ და ლიტერატურულ ტექსტებს, ისტორიულ და სხვა წყაროებს. • განსაზღვრავს და აანალიზებს ამერიკაში თანამედროვე ქართული იმიგრაციის პრობლემატიკას და მის ადგილს ამერიკულ საზოგადოებაში. • აანალიზებს შეერთებული შტატების ფუძემდებლურ დოკუმენტებს. • აიდენტიფიცირებს ამერიკული დემოკრატიის პრობლემებს; • განსაზღვრავს სოციალური რეალობის ტრანსფორმაციას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. • კრიტიკულად აანალიზებს აშშ-ის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროცესებსა და ტენდენციებს სხვადასხვა თეორიული და ემპირიული წყაროს საფუძველზე.
ბ) უნარები	• კრიტიკულად აფასებს და აანალიზებს აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მოვლენებისა და პროცესების არსს. • ახდენს საჭირო ინფორმაციის, წყაროებისა და ტექსტური მასალის მოძიებას, შერჩევას, სინთეზს, სტრუქტურირებასა და ინტერპრეტაციას. • სხვადასხვა პერსპექტივიდან ახორციელებს არგუმენტირებას, კომენტირებას, კონტექსტუალიზაციასა და კრიტიკულ შეფასებას. • კვლევისა და ანალიზის პროცესში აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს და სთავაზობს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ალტერნატიულ მიდგომებს.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• ზრუნავს პროფესიული ცოდნის მუდმივ განახლებასა და გაღრმავებაზე. • ავლენს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და პროფესიული განვითარების დაგეგმვის უნარს. • ეფექტურად მართავს დროს და ორგანიზებას უწევს საქმიანობას ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად, სტრესულ), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში.

	• საკუთარი პროფესიული საქმიანობითა და უწყვეტი თვითგანვითარებით წვლილი შეაქვს სასპეციალიზაციო სფეროს დარგობრივი ცოდნის განვითარებაში.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა–განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მეთოდებს. ამასთან, სწავლების პროცესში გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები. დარგობრივი ცოდნისა და ინგლისური ენის დაუფლების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით პროგრამა სტუდენტებს ხელს უწყობს სტაჟირებაში საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ევროპული ქვეყნების უნივერსიტეტებში; სასპეციალიზაციო სფეროს ცოდნის გაღრმავების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე. სტუდენტები ინფორმირებული და ჩართული არიან ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციებისა და ინსტიტუტთან არსებული მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის მუშაობაში; ესწრებიან და მონაწილეობენ ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ცნობილი ამერიკელი, ევროპელი და ქართველი. მეცნიერების, პოლიტიკოსების, საზოგადოებრივი მოღვაწეების საჯარო ლექციებსა თუ არაფორმალურ შეხვედრებში, ამერიკული მხატვრული, დოკუმენტური და სასწავლო ფილმების ჩვენებებსა და განხილვებში. ასევე შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ რუზველტის ინსტიტუტის (ნიდერლანდები) მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო აქტივობებში, იმუშაონ ამ ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.
შეფასების სისტემა	**სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.** შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს **მინიმუმ 21 ქულა.** დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

	(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს სამაგისტრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად: ✓ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით; ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება; ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით. ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე; ✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 20 და მეტი ქულით; ✓ სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას. ✓ სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

დასაქმების სფეროები	ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ: • საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (სამაგისტრო განათლების შესაბამის პოზიციებზე) მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგად, მეცნიერ-თანამშრომლად; • საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე, ექსპერტად პოლიტიკის, სოციალური საკითხების, კულტურის სფეროში; რეგიონმცოდნედ, პრეს-მდივნად, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერად. • დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში დიპლომატის, საერთაშორისო კომპანიებში - GR, PR მენეჯერის, რეფერენტ-თარჯიმნის პოზიციაზე; • კულტურის სფეროს დაწესებულებებში პრეს-მდივნად, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და არტ-მენეჯერად; • ტურიზმის სფეროში; • საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში; • მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.), ჟურნალისტ-საერთაშორისო მიმომხილველად; • ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	• საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; • სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, მასწავლებლები და მკვლევრები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება საქართველოსა და აშშ-ის უნივერსიტეტებში. სასპეციალიზაციო კურსებს უძღვებიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტისა და მომიჯნავე

	მიმართულებების ძირითადი აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები, ასევე ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში მოვლინებული ამერიკელი პროფესორები: 1. ელენე მემმარიაშვილი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი (ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი) 2. მიხეილ ბარნოვი, ასოცირებული პროფესორი (ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტი 3. მარიამ ხატიაშვილი, ასოცირებული პროფესორი (ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტი)ია იაშვილი, ასოცირებული პროფესორი (ამერიკისმცოდნე, საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროგრამა 4. ანასტასია ზაქარიაძე, ასოცირებული პროფესორი (ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტი)ნათელა დონაძე, ასოცირებული პროფესორი (სოციოლოგიის პროგრამა) 5. ქეთევან როსტიაშვილი, მოწვეული პროფესორი (პოლიტოლოგი) 6. ბესიკ გოგინავა, ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული პედაგოგი (პოლიტოლოგი) 7. გიორგი ხარშილაძე, ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული პედაგოგი (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი) 8. ნათია კოპალეიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი (კინომცოდნე, თეატრისა და კინოს სახ.უნივერსიტეტი) 9. ნანა ციხისთავი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი, მოწვეული ლექტორი (ნიუუნი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი) ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები (სამუშაო ოთახები, კომპიუტერული ტექნიკა, დარგობრივი ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სავსებით შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. პროგრამის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს როგორც საფაკულტეტო, ასევე საუნივერსიტეტო სამეცნიერო ბიბლიოთეკებით და კომპიუტერული რესურსცენტრებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალ წვდომას ციფრულ რესურსებსა და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონულ ბაზე-ბზე. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის პროგრამის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით: • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები და კომპიუტერული ცენტრები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა მ. ალექსიძის ქუჩის მე-2 შესახვევი N3-ში; ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ამერიკული ბიბლიოთეკა (ი.

	ჭავჭავაძის გამზირი N3-ში, თსუ II კორპუსი, ოთახი 152 https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტოწვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, CambridgeUniversityJournals, JStor, Scopusდა სხვ. https://www.tsu.ge/ka/library/page/893
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ამერიკისმცონეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი პროფესიული და ენობრივი პრაქტიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რუზველტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტს (ნიდერლანდები) შორის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი; 2002 წლიდან ინსტიტუტთან დაძმობილებულია სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ) ამერიკისმცოდნეობის პროგრამა, რომლის ხელმძღვანელი სამეცნიერო სტატიების საერთო კრებულის „ამერიკის შესწავლის საკითხები“ თანარედაქტორია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნე სტუდენტები და პროფესურა აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ამერიკულ თუ ევროპულ გაცვლით პროგრამებში და იძენენ ახალ გამოცდილებასა და ცოდნას საუკეთესო უნივერსიტეტებში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტი სისტემატურად მასპინძლობს ამერიკისა და ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების ამერიკისმცოდნე პროფესორებს, რომლებიც მოკლე სალექციო კურსებს, საჯარო ლექციებსა და კონსულტაციებს სთავაზობენ ინსტიტუტის სამივე საფეხურის საგანამანათლებლო პროგრამების, მათ შორის, ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს. თსუ ამერიკისმცოდნეობის პროგრამების სტუდენტებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია საერთაშორისო სასწავლო სტიპენდიების, გაცვლითი საკონკურსო პროგრამების შესახებ და ეძლევათ რეკომენდაცია, მონაწილეობა მიიღონ ამგვარ კონკურსებში (ამერიკისმცოდნე სტუდენტებს საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში სწავლის გამოცდილება აქვთ ვენეციის (იტალია), ჰაიდელბერგის (გერმანია) და ევროპის სხვ. უნივერსიტეტების ამერიკისმცოდნეობის პროგრამებზე).